გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარშალ გელოვანის გამზ.N34
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 237 80 13
+995 32 237 80 44
info@mepa.gov.ge

01 დეკემბერი 2023

N 9553/01

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს
წარმომადგენელს
ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

მის: ქ. თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ: (+99532) 222 38 74
ელ-ფოსტა:greenalt@greenalt.org

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემოსულ თქვენს 2023 წლის 20 ნოემბრის N41436 (სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, რომლითაც ითხოვთ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის 2023 წლის 17 ოქტომბრის N01/1/2624 და 1 ნოემბრის N01/1/2811 წერილების გაუქმებას და საჯარო ინფორმაციის გადაცემის დავალებას, განგიმარტავთ შემდეგს:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი ეს არის „დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გამოცემას“.

ამასთან, კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი“.

თქვენს მიერ გასაჩივრებულია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ წარმოადგენს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ცენტრი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არის საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია,

რომელიც სახელმწიფოს კონტროლის დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, რომლის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებიც განსაზღვრულია კანონით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო არ არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო განიხილოს თქვენი ადმინისტრაციული საჩივარი, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, 2023 წლის 17 ოქტომბრის N01/1/2624 და 1 ნოემბრის N01/1/2811 წერილების, გაუქმებას და საჯარო ინფორმაციის გადაცემის დავალების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილების გათვალისწინებით, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე